



მქარგავი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მქარგავი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მქარგავის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: სასწავლო კომპონენტისთვის 36 კრედიტი 900 სთ (საკონტაქტო საათი -555; დამოუკიდებელი - 225; შუალედური/დასკვნითი შეფასება - 120)

პრაქტიკის კომპონენტისთვის: 24 კრედიტი 600 სთ (საკონტაქტო - 600 სთ)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები რომელმაც გადალახეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტი და ამასთანავე დააკმაყოფილებენ პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს. ასევე, პირები რომლებიც გადალახავენ ზოგადი უნარების ტესტს და ექნებათ და ექნებათ მესამე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: აღზარდოს პრაქტიკაზე ორიენტირებული გამოყენებითი

ხელოვნების (ქარგვის) სპეციალისტი

მისცეს თეორიული ცოდნა ქართული და მსოფლიოს მხატვრული ქარგულობის ნიმუშების შესწავლის ბაზაზე.

მისცეს პრაქტიკული გამოცდილება, ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად, გამოადგება,

წარმატებული მუშაობისათვის.

შეასწავლოს სტუდენტს ზოგადად მართლმადიდებლური ხელოვნების დარგები და მისცეს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ამ სფეროში.

განუვითაროს ამ უნარების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	შეუძლია წინასწარდასახული შემოქმედებითი ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა სახის პრობლემების ამოცნობა და მათ გადასაჭრელად კონკრეტული დასკვნის გაკეთება; მიღებული შემოქმედებითი შედეგის შეფასება და ანალიზი, ახალი, ორიგინალური ნიმუშების დასამზადებლად შესაბამისი შეფასებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია საეკლესიო და საერო ნაქარგობის სხვადასხვა ტიპის ნიმუშების შესრულება: საერო ნივთების კომპოზიციის შესრულება ფანქარში და ფერში; თანამედროვე სამოსში ეროვნული ელემენტების გამოყენება (მოდელის შექმნა, მოქარგვა და შეკერვა); ქართული ეროვნული სამოსის, მისი აქსესუარების მოქარგვა და შეკერვა (თარგების მომზადება, კომპოზიციის მომზადება ფანქარსა და ფერში); საეკლესიო ნაქარგობის კოპოზიციურად, ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად განსხვავებული ნიმუშების ასლების შესრულება (გარდამოხსნა, დაფარნა, კრეტსაბმელი, ბაირადი, ტრაპეზის გადასაფარებელი, ხატის ბუდე, სასულიერო პირთა შესამოსელი); ორიგინალური, ახალი ტიპის ნაქარგობების შესრულება, აუცილებლად, საეკლესიო სამოსის კანონიკის სფეროში მიღებული ცოდნის გამოყენება; დაზიანებული ნაქარგობის რესტავრაცია;

	ბუნებრივი საღებავების დამზადება და მათი გამოყენება.
დასკვნის უნარი	შეუძლია წინასწარდასახული შემოქმედებითი ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა სახის პრობლემების ამოცნობა და მათ გადასაჭრელად კონკრეტული დასკვნის გაკეთება; მიღებული შემოქმედებითი შედეგის შეფასება და ანალიზი, ახალი, ორიგინალური ნიმუშების დასამზადებლად შესაბამისი შეფასებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	აქვს შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალთან პროფესიული ურთიერთობის უნარი; მის კომპეტენციაში შემავალი დავალების შესაბამისად კონტაქტის დამყარებისა და ამ დავალების შესრულებაზე კონტროლის უნარი; შეუძლია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით საჭირო პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გადაცემა, მათ შორის უცხო ენაზე; შეუძლია კომუნიკაცია დამკვეთთან, მისი ინტერესების გათვალისწინება და სწორი რჩევის მიცემა, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ ერკვევა ძირითად კანონიკაში, რაც საეკლესიო მსახურებას უკავშირდება. შესაბამისი ნაქარგობის ტიპების შეთავაზება; შესასრულებელი სამუშაოსათვის მასალისა და დროის ფაქტორის სწორი გაანგარიშება. ანგარიშის წარდგენა შესრულებულ სამუშაოზე.
სწავლის უნარი	შეუძლია ნაქარგობასა და ზოგადად ხელოვნების სხვა დარგებთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შესწავლა. აქვს უნარი განსაზღვროს სწავლის საჭიროება. შეუძლია ახალი ნაწარმოებების გაანალიზება ნაქარგობის სფეროში და მათი შეფასება.
ღირებულებები	IV საფეხურის სრული კურსისი გავლისას მხატვრული ქარგვის სპეციალისტი აცნობიერებს მისი თანამონაწილეობით შექმნილი ნამუშევრების მნიშვნელობას. ნაქარგობის შექმნისას აცნობიერებს საკუთარ პროფესიულ როლს და მოქმედებს მის ფარგლებში, დამკვეთთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის ინტერესებსა და დამკვიდრებული ნორმესა და ტრადიციებს. ნამუშევრების შექმნისას ხელმძღვანელობს მორალურ-ეთიკური ღირებულებებით, ქმნის ტექნიკურად გამართულ პროდუქციას.

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა	X	X		X		
ინფორმატიკა		X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	X	X	X		X	
მხატვრული ქარგვა "ნამაგრი სითვი"	X	X				

ხატვა	X	X				
საქარგავი მასლები და ტექნოლოგიები	X	X				
მხატვრული ქარგვის ისტორია	X	X				
მძივით ქარგვა	X	X	X			
ორმხრივი სითვი	X	X	X			
მძივით ქსოვა	X	X				
ნაქარგობის რესტავრაცია	X	X				
იკონოგრაფიის საფუძვლები	X	X				
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორია	X	X				
ოქრომკვდით ქარგვა	X	X				
ჯვრულით ქარგვა	X	X				

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	სლაბორატორიული სამუშაო	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
I სემესტრი								
ინგლისური ენა	5	60	-	-	-	4/4	57	125
ინფორმატიკა	5	30/30	-	-	-	4/4	57	125
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30	-	-	-	4/4	57	125
მხატვრული ქარგვა "ნამაგრი სითვი"	3	0	-	60	7	4/4	-	75
ხატვა	2	15	-	15	12	4/4	-	50
საქარგავი მასლები და ტექნოლოგიები	3	45	-	-	14	4/4	8	75
მხატვრული ქარგვის ისტორია	3	60	-	-	7	4/4	-	75
მძივით ქარგვა	2	15	-	15	12	4/4	-	50
ორმხრივი სითვი	2	15	-	15	12	4/4	-	50
II სემესტრი								
მძივით ქსოვა	5	15	-	90	12	4/4	-	125
ნაქარგობის რესტავრაცია	3	15/30	-	-	15	4/4	7	75
იკონოგრაფიის საფუძვლები	7	120	-	-	22	4/4	25	175
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორია	3	15	-	45	-	4/4	7	75
ოქრომკვდით ქარგვა	7	15	-	120	25	4/4	7	175
ჯვრულით ქარგვა	5	15	-	90	12	4/4	-	125
სულ	60	555	-	450	150	120	225	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- სამუზეუმო პრაქტიკას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას (სემინარები, პრეზენტაციები)
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (B) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი .

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

სამუზეუმო პრაქტიკა;

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მმობხვნები (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მუხლი 12.
პროფესიული განათლების მასწავლებელი (21. 07. 2010. 3529. ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	ნინო ბოჭორიშვილი	მასწავლებელი
ინფორმატიკა	ანნა ბუზალაძე	მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები		
მხატვრული ქარგვა "ნამაგრი სითვი"	ეთერ უროტაძე	თსსა და საპატრიარქოსთან არსებული სახელოსნოს პედაგოგი
მძივით ქარგვა	ცირა გელოვანი	სამების ლავრის ქარგვის შემსწავლელი სკოლის მასწავლებელი
მძივით ქსოვა	ცირა გელოვანი	სამების ლავრის ქარგვის შემსწავლელი სკოლის მასწავლებელი
ორმხრივი სითვი	ნინო გაბური	თსსა-ს მხარგრული ქარგვის მასწავლებელი
მხატვრული ქარგვის ისტორია	იზოლდა მელიქიშვილი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ასოცირებული პროფესორი
იკონოგრაფიის საფუძვლები	იზოლდა მელიქიშვილი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ასოცირებული პროფესორი
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების ისტორია	ნანა აზიზიანი	ხელოვნებათმცოდნე მინანქრისა და ჭედურობის ოსტატი
საქარგავი მასალები და ტექნოლოგიები	მარინე წიკლაური	შპს "ელსელემას" დირექტორი; ქარგვის სახელოსნო "შრომანის" მფლობელი
ნაქარგობის რესტავრაცია	ეთერ სულხანიშვილი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის წამყვანი ასისტენტი
ხატვა	სილვა წერეთელი	მხატვარი
ოქრომკედით ქარგვა	ეთერ უროტაძე	თსსა და საპატრიარქოსთან არსებული სახელოსნოს პედაგოგი
ჯვრულით ქარგვა	ეთერ უროტაძე	თსსა და საპატრიარქოსთან არსებული სახელოსნოს პედაგოგი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

ძირითადი ბაზა სასწავლო პროცესში იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

სამუზეუმო პრაქტიკას გაივლიან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ლ. გუდიაშვილის I;
სასწავლო პრაქტიკა _ ოქრომკერდით ქარგვის სახელოსნო “შრომანი;” ღამბაშიძის ქ. 40
სასწავლო ლიტერატურას და სადემონსტრაციო მასალას, სტუდენტები გაეცნობიან ტექნიკური
უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრაზე წარმოდგენილი მასალის საფუძველზე.